პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 84 (1254) | შაბათი, 15 ივლისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლ. ლატინინა
მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი.

## ხუდადოვის ტყეში

გასულ კვირას ხუდადოვის ტყეში (თბილისი) გაიმართა საქართველოს დოსაafის პირველობა მოტოკროსში მიძღვნილი კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი.

პირველად სტარტი აიღეს ქალებმა და ჭაბუკებმა. ჭაბუკთა შორის გამარჯვებული გამოვიდა სოხუმელი ვ. ჩაპრავა. ქალთა შორის როგორც 8 ისე 7-წრიან დისტანციებზე (წრე — 2 კმ) პირველი იყო თბილისელი სპორტსმენი კ. გონგაძე.

საინტერესოდ ჩატარდა ვაჟთა შეჯიბრება 125 კბ სმ მოცულობის მოტოციკლებით. სტარტიდანვე დაწინაურდა თბილისელი ვ. ენუქიძე, რომელსაც კვალში მიჰყვებოდნენ სპორტის ოსტატები რ. გალუსტიანი და ე. გრიგორიანი (ორივე თბილისიდან). მალე ლიდერობა ხელთ იგდო ე. გრიგორიანმა, მაგრამ შემდეგ მანქანის ავარიის გამო რბოლას ჩამორჩა და ფინიშთან მხოლოდ მესამე მივიდა. გაიმარჯვა ენუქიძემ. მეორე ადგილზე გამოვიდა რ. გალუსტიანი. იმ შემთხვევაში, თუ გრიგორიანი მოიგებდა განმეორებით რბოლას, ხოლო ენუქიძე მესამე ადგილზე გამოვიდოდა, ლიდერებს ქულათა თანაბარი რაოდენობა ექნებოდათ. მართალია, გრიგორიანმა შეძლო ამ ამოცანის გადაწყვეტა — მოიპოვა პირველი ადგილი, მაგრამ ენუქიძემ დაამარცხა გალუსტიანი, მოაგროვა სამი ქულა და მოიპოვა საერთო პირველი ადგილი. ე. გრიგორიანი გამოვიდა მეორე ადგილზე.

350 კუბატურის მოტოციკლებით შეჯიბრებაში ორივე ცდაზე ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა სოხუმელმა პ. შიშმანიანმა. თბილისელი სპორტის ოსტატი ო. ჰარაძე ფინიშთან მეორე იყო.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელმა სპორტსმენებმა. სოხუმელი მოტოციკლისტები გამოვიდნენ მეორე ადგილზე.

**ა. გუნია,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.





✦

მოსკოვში, ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის აუზში მიმდინარეობდა საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება ცურვაში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სპორტსმენებს შორის. შეჯიბრებაზე ნაჩვენები იქნა რამდენიმე მაღალი კლასის შედეგი. გ. კამაევამ (სურათი ზემოთ) 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვაში დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი — 1.12,3. ქვედა სურათზე ნაჩვენებია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენი კ. ბაიერი, რომელმაც ბრასის სტილით 100 მეტრი დაფარა 1.21,3 წუთში, რაც აღემატება ევროპის რეკორდს.

ფოტო ა. ბატანოვისა.
საკდესის ფოტოქრონიკა.

✦

## მწყობრი წმიდა ადგილია

ფიზკულტურისა და სპორტის წარმატებასა და ნაკლოვანებებს ყველა თვალნათლივ ხედავს. გულშემატკივრები ზედმიწევნით კარგად არიან ინფორმირებული სპორტსმენების, გუნდების მოქმედებით. როდესაც თბილისის „დინამო“ დამარცხდა მოსკოვის „ტორპედოსთან“, სულ 3 დღის განმავლობაში გულშემატკივრებისგან რედაქციაში 50-მდე წერილი შემოვიდა. ყველა მათგანში ხაზგასმული იყო ერთი ამბავი: დინამოელებს აკლიათ წვრთნა, მინდობილი საქმისადმი სიყვარული. და ეს ხომ მართალი იყო. გულშემატკივრებმა ზედმიწევნით იციან თუ რომელმა ფეხბურთელმა სად, ვისთან, რომელ წუთზე და რა მდგომარეობაში გაიტანა ბურთი სად რა შეჯიბრება მოიგო კარტოზიამ ან ბალავაძემ. მათ ყველაფერი სურთ გაიგონ თავიანთ საყვარელ სპორტსმენებზე და მათ მოწინააღმდეგეებზეც კი.

ჩვენ ამ წერილით არ ვფიქრობთ სპორტის მრავალათასიან გულშემატკივართა დახასიათებას. არა. ჩვენ გვინდა ხაზი გავუსვათ იმას, რომ გულშემატკივარს სპორტსმენის მხოლოდ წარმატებები როდი აინტერესებს, იგი ნაკლოვან მხარეებსაც მწვავედ განიცდის. როგორც ყველას მოგეხსენებათ, ამას წინათ თბილისში ჩატარდა სტუდენტთა სპორტული ზონალური თამაშები, რომლის გახსნა შედგა „დინამოს“ სტადიონზე. 1000-ზე მეტი სტუდენტი-სპორტსმენი მონაწილეობდა პარადში. როდესაც კოლონებმა ჩაუარეს ტრიბუნებს, გულშემატკივართა ერთ ჯგუფში ასეთი საუბარი გაიმართა:

— რას გავს ეს! — ჯავრობდა ერთი. — ნუთუ ესენი სტუდენტები არიან, როგორ დადიან, ფეხშეუწყობლად. სად არის სწორება რიგებში.

— უყურეთ, განკარგულება გასცეს „მარცხნისაკენ“ ისინი კი მარჯვნისაკენ ბრუნდებიან.

შენიშვნები უკვე სიცილში გადაიზარდა.

— რას აკეთებენ მწვრთნელები! — ჯავრობდა ხანშიშესული კაცი. — ნუთუ მათ არ იციან, რომ გამართულობას, სამწყობრო მომზადებას სპორტსმენის აღზრდაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს?

გულშემატკივრები მართალი იყვნენ. ჩვენი სტუდენტი სპორტსმენები პარადზე მიაბიჯებდნენ მუსიკის ტაქტის გარეშე — ვის როგორც სურდა. ასევე ასრულებდნენ კომანდირის განკარგულებებს. მოსწავლეთა სპარტაკიადის გახსნის პარადზე გარდა იმისა, რომ მწყობრში დიდი არეულობა სუფევდა, პარადის ზოგიერთი მონაწილე საზეიმო მარშის დროს ნაცნობებს ხელების ქნევით მიესალმებოდა ტრიბუნებზე.

ცხადია, რომ ჩვენი სპორტსმენების სამწყობრო მომზადება არ დგას სათანადო სიმაღლეზე, ამან შეანელა საზოგადოებრიობის ინტერესი შეჯიბრებათა გახსნის პარადისადმი.

სად უნდა ვეძებოთ ჩვენი სპორტსმენების სამწყობრო მომზადების სისუსტის სათავე. რასაკვირველია, სკოლებში, სექციებში. რამდენიმე სექციის მეცადინეობას დავესწარით და შევამჩნიეთ რომ მწვრთნელები მეცადინეობას იწყებენ მოთელვით და შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადადიან (რასაკვირველია ყველა მწვრთნელზე ეს არ ითქმის). ჩვენის აზრით 10 წუთი მეცადინეობის წინ სამწყობრო მომზადებას რომ დაეთმოს, ეს სრულებით არ დაარღვევს მეცადინეობის განრიგს. იგი შეავსებს მოთელვას, ხოლო სპორტსმენს შემატებს გამართულობას, მიაჩვევს დისციპლინას. თუ არა და რატომ უნდა ატარებდეს სპორტსმენის სახელს ახალგაზრდა, რომელსაც ფეხშეწყობილი სიარული არ შეუძლია, არ იცის სამწყობრო მომზადების ელემენტალური ილეთები?

გავიხსენოთ სპორტის დამსახურებული ოსტატ გ. ს. ეგნატაშვილის გაკვეთილები ან სექციების მეცადინეობა. წვრთნა იწყებოდა სამწყობრო მომზადებით! და რაც მთავარია, იგი ამას სხვათა შორის კი არ ატარებდა, არამედ როგორც ერთ-ერთ მთავარს. „მწყობრი წმიდა ადგილია!“ — ამბობდა ხოლმე გ. ს. ეგნატაშვილი და მკაცრად თხოვდა ყველას მის განკარგულებათა ზუსტად შესრულებას.

გახსნისა და დახურვის პარადები შეჯიბრებათა აუცილებელ ელემენტებად იმიტომ არის დადგენილი, რომ ხალხმა დაინახოს სარბიელის გარეთ როგორ უჭირავს თავი სპორტსმენს, რომ შეჯიბრებას მეტი საზეიმო ელფერი მიეცეს. სწორედ ამიტომ შეჯიბრების ამ აუცილებელ ელემენტს ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ. არ უნდა დავუშვათ გახსნისა და დახურვის პარადების მიფუჩეჩება. ამ ამბავისათვის უნდა ვემზადოთ ისე, როგორც თვით შეჯიბრებისათვის, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მწყობრში ჩამდგარი სპორტსმენი პასუხისმგებლობას გრძნობდეს როგორც თავისი ამხანაგების, ისე დამსწრე საზოგადოების მიმართ, ყოველი მისი მოძრაობა უნდა იყოს გამოზომილი, გამოკვეთილი, ნაბიჯი ჰქონდეს მტკიცე, გამოხედვა ამაყი, ფორმა სუფთა. აი ასეთი წესით ჩატარებული პარადი სასიამოვნო სანახავი იქნება და მას მაყურებელი არასოდეს მოაკლდება.

საქართველოს სპორტულმა დელეგაციამ ფეხშეწყობილი მჭიდრო რიგებით ჩაიარა ტრიბუნების წინ — წერდა გაზეთი „იზვესტია“ საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადის დროს. ჩვენი მიზანია ყოველი შეჯიბრებისას გვესმოდეს ასეთი შეფასება. მაშინ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადაზე ჩვენი მწყობრი უფრო მჭიდრო იქნება, ნაბიჯიც მტკიცე და თამამი.

## საპატიო ადგილზე

ბუქარესტში გაიმართა საერთაშორისო შეჯიბრება, თანამედროვე ხუთჭიდში, სადაც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის, უნგრეთისა და რუმინეთის საუკეთესო ხუთჭიდელები. პირველი დღე არასახარბიელო მაჩვენებლებით აღინიშნა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებისათვის. სამაგიეროდ, შემდეგში კ. სალნიკოვმა შეძლო დაკარგული ქულების დაბრუნება და 4382 ქულით დაიკავა პირველი ადგილი. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს საბჭოთა სპორტსმენებმა.

იმ სპორტსმენთა შორის, რომლებიც მხოლოდ ოთხჭიდში გამოდიოდნენ, პირველი ადგილი დაიკავა უნგრელმა ს. საბომ, რომელმაც 3354 ქულა დააგროვა. თბილისელი ა. პევცოვი გამარჯვებულს ჩამორჩა 26 ქულით და გამოვიდა მეორე ადგილზე.

## სტუდენტთა ჩემპიონატი

ბულგარეთის შესანიშნავ კურორტ ვარნაში დაიწყო ფინალური თამაშები მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში სტუდენტთა შორის. საბჭოთა სტუდენტების გუნდს, რომლის შემადგენლობაში არიან გროსმაისტერები ტალი, სპასკი, ოსტატები გურგენიძე, გიპსლისი და სათადარიგო მოთამაშეები ოსტატები ნიკიტინი და ნიკოლაევსკი, ფინალში მოუხდება შეხვედრები ასეთი თანმიმდევრობით: უნგრეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, არგენტინა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია და ამერიკის შეერთებული შტატები.

დიდი ინტერესი გამოიწვია პირველი ტურის შეხვედრამ, რომელშიც საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ უნგრელებს. ტალი ეთამაშებოდა უნგრეთის ჩემპიონს პორტიშს. წყნარი დებიუტის შემდეგ ტალმა ენერგიული იერიშით მოიგო პარტია. მეორე ქულა საბჭოთა გუნდს მოუტანა მოსკოველმა ნიკიტინმა, რომელმაც 28 სვლაში დაამარცხა მოლნარი. სპასკისა და გურგენიძის პარტიები გადაიდო მათთვის უკეთეს მდგომარეობაში.

მეორე ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები შეხვდნენ ბულგარელებს. ტალმა მისთვის ჩვეული სიმწვავით ითამაშა პარტია ბობოცევთან და გაიმარჯვა. ნიკიტინმა მეფეზე შტურმით მოუგო ვ. პოპოვს. სპასკიმ უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია კოლაროვთან, ხოლო გურგენიძემ უარეს მდგომარეობაში პადევსკისთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 18 ივლისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ალიმართება პროფკავშირების მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადის ალამი

## რომელ სახეობაში, სად და როდის ჩატარდება

| სპორტის სახეობა | ჩატარების ადგილი | ჩატარების რიცხვი (ივლისი) | შეჯიბრებ. დაწყების საათები | სპორტის სახეობა | ჩატარების ადგილი | ჩატარების რიცხვი (ივლისი) | შეჯიბრებ. დაწყების საათები |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აკრობატიკა | ფიზკ. ინს. სპ. დარბ. | 20—21 | 10 და 19 | მხატვრული ტანვარჯიში | ტტს-ის დარბაზი | 20—21 | 10 და 18 |
| კალათბურთი | კიროვის სახ. პარკი | 18—21 | 10 და 18 | მძლეოსნობა | „დინამოს“ სტადიონი | 18—20 | 10 და 18 |
| კრივი | ფიზ. ინს. სპ. დარბ. | 18—20 | 10 და 18 | ცურვა | ფიზკ. პარკის აუზი | 18—20 | 10 და 18 |
| თავისუფალი ჭიდაობა | „განთიადის“ სპ. დარ. | 18—19 | 10 და 18 | წყალში ხტომა | „ „ „ | 19—20 | 10 და 18 |
| კლასიკური ჭიდაობა | „ „ „ | 20—21 | 10 და 18 | სასტენდო სროლა | ვაკის სტენდი | 18—21 | 8 |
| ველო (გზატკეცილზე) | საქ. სამხედრო გზა | 19—21 | 9 | ჩოგბურთი | „ბურ“. სტად. ჩოგბ. კორ. | 18—21 | 10 და 18 |
| წყალბურთი | ფიზკულ. პარკის აუზი | 19—21 | 18 | ძალოსნობა | კირ. სახ. პარკის დარ. | 18—19 | 10 და 18 |
| ფრენბურთი | „განთიადის“ მოედანი | 18—21 | 10 და 18 | ფეხბურთი | „დინამოს“ სტადიონი | 18—21 | 18 |
| სპორტული ტანვარჯიში | ტტს-ის დარბაზი | 18—19 | 10 და 18 | ქართული ჭიდაობა | „ლოკომოტ“. დარ. | 18—21 | 10 და 18 |

## გაანაღდეს აღებული ვალდებულებანი

როცა თბილისის ცხიმკომბინატის სპორტულმა აქტივმა თავისი ძირეული კოლექტივის საერთო კრებას წარუდგინა ძირეული კოლექტივის ახალი ვალდებულებები, ბევრს ეჭვი შეეპარა მათ რეალობაში.

— ვერ მოვასწრებთ, შევამციროთ მათი რაოდენობა, — ისმოდა ხმები, მაგრამ სპორტის მოყვარულებმა გაიტანეს თავისი. მათ გადაწყვიტეს ვალდებულებათა მეტი ნაწილის შესრულება დაუკავშირონ საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური სპარტაკიადის დაწყებას.

უკვე მეორე დღეს ძირეული საბჭოს თავმჯდომარე ა. სტეპანიანი აქტივთან ერთად ენერგიულად შეუდგა მუშაობას. სულ მალე ნათელი გახდა, თუ რა შეუძლია კოლექტივს, როცა იგი მოინდომებს საქმის გაკეთებას.

ახლა ყველას ახარებს წარმატება. კომბინატმა ორ თვეში გადაჭარბებით შეასრულა დანაპირები. აი რა გაკეთდა აქტივის ენერგიული და მუყაითი შრომით:

კომბინატში ფიზკულტურელთა რაოდენობა გაიზარდა ორჯერ, ნაცვლად განზრახული 1,5-სა. პირველი მაისისათვის ჩამოყალიბდა 4-4 ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდი, 4 კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივი, მუშაობას შეუდგა 6 სექცია სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მომზადდა 6 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, მუშაობა დაიწყო საზოგადოებრივი ინსტრუქტორების ცოდნის ამაღლების სემინარმა; გაამწვანეს სპორტული ბაზები. მშთ I საფეხურზე განზრახული 15 სპორტსმენის ნაცვლად მომზადდა 21, ხოლო მეორე საფეხურზე 10-ის ნაცვლად—20. წლის ბოლოსათვის დასახული იყო ერთი პირველთანრიგოსნის, 4—მეორე და 12—მესამეთანრიგოსნის მომზადება. მაგრამ კოლექტივმა ორ სპორტსმენს უკვე მიაღებინა მეორე და 19-ს — მესამე თანრიგი.

შორს წაგვიყვანდა იმის დასახელება თუ რა იკისრეს და როგორ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება კომბინატის ფიზკულტურელებმა. ცხადია, რომ კომბინატის ფიზკულტურელებმა სინამდვილედ აქციეს თავისი სიტყვა, მომზადებული შეეგებენ საკუთარ სპარტაკიადას და მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს იგი.

თ. ნინოშვილი

## დიდი შეჯიბრების წინ

საკავშირო პროფსაბჭოს გადაწყვეტილებით 24-29 აგვისტოს მოსკოვში გაიმართება პროფკავშირთა VI საზაფხულო საკავშირო სპარტაკიადა, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადისათვის. ამ ღონისძიებას წინ უსწრებს შეჯიბრებები ძირეულ კოლექტივებში, რაიონებში, ქალაქებში, ოლქებსა და მოძმე რესპუბლიკებში.

საკავშირო სპარტაკიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის კარგა ხანია დაიწყეს მზადება ჩვენი რესპუბლიკის პროფკავშირულმა ორგანიზაციებმაც. 18 ივლისს თბილისში ალიმართება საქართველოს პროფკავშირების ფიზკულტურელთა მეორე სპარტაკიადის ალამი. დებულების თანახმად ფინალურ შეხვედრებზე, რომლის პროგრამაშია სპორტის 18 სახეობა, მონაწილეობას მიიღებენ რაიონების, ქალაქების, ოლქების ღონისძიებებში გამარჯვებული ძირეული კოლექტივები და ნაკრები გუნდები.

მონაწილენი გაიყოფიან სამ ჯგუფად. პირველ ჯგუფში იბრძოლებენ თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და რუსთავის, ხოლო მეორეში — სხვა რაიონებისა და ქალაქების უძლიერესი კოლექტივები. მესამე ჯგუფს ქმნიან რაიონულ და საქალაქო სპარტაკიადებზე გამარჯვებული ძირეული კოლექტივები, რომლებიც ფინალში ერთმანეთს შეეჯიბრებიან მძლეოსნობაში, ცურვაში, ძალოსნობასა და ველოსპორტში.

საქართველოს პროფკავშირთა მეორე საზაფხულო სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩასატარებლად კარგა ხანია შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი, რომელმაც მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა. საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ სახეობებს მძლეოსნობა, ცურვა, ძალოსნობა, კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა და ა. შ. დაემატა მე-18 სახეობა — ქართული ჭიდაობა. ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად დამტკიცდა სპარტაკიადის მსაჯთა კოლეგია და სხვ.

ჩვენს რესპუბლიკაში უკვე ჩატარდა საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სპორტსმენთა სპარტაკიადები, შეჯიბრებები ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებში. ახლა მთავრდება რაიონული, საქალაქო და ავტონომიური რესპუბლიკების სპარტაკიადები.

ამ ღონისძიებაში წარმატებით მონაწილეობისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარეს რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებმა. ბევრგან მაღალ დონეზე მოეწყო შეჯიბრებები, სპორტული დღესასწაულები, უძლიერეს სპორტსმენთა გამოსვლები. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებთან ერთად მზადების დღეებში შეძლეს გამოევლინებინათ მუშა-სპორტსმენთა ახალი ძალები. სერიოზული მუშაობა იქნა ჩატარებული სპორტული ბაზის შექმნისათვის, შეაკეთეს არსებული და მოაწყეს ახალი სპორტული ბაზები, მძლეოსნობის სექტორები, სპორტთამაშობათა მოედნები. ამ საქმეში განსაკუთრებით ისახელეს თავი ბათუმის სტალინის სახელობის ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, ცხიმკომბინატში, ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანასა და აბრეშუმკომბინატში, რუსთავის მეტალურგიულ კომბინატში და სხვ.

პროფკავშირთა რესპუბლიკური სპარტაკიადისათვის მზადების დღეებში შეიქმნა ახალი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივები აჭარაში, აფხაზეთში, ქუთაისში და სხვაგან.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადგილი არ ჰქონდეს ნაკლოვანებებს. სპარტაკიადის პირველსავე ეტაპზე გამოვლინდა წარმოება-დაწესებულებათა ერთი რიგის ხელმძღვანელთა, პროფკავშირული, კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების უსულგულო დამოკიდებულება საქმისადმი. შეჯიბრებები ჩაატარეს მოვალეობის მოხდის მიზნით, ყოველგვარი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის გარეშე. ამიტომაც მონაწილეთა მაჩვენებლები ხშირად ვერ აღწევდა მესამე თანრიგის შედეგსაც კი. არ ზრუნავდნენ არსებული ბაზების შეკეთებისა და ახლის მოწყობისათვის. ასე გულგრილად მოექცნენ ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას სტალინირის „პრომკომბინატისა“ და აგურის ქარხნის, ქუთაისის მინის ტარისა და მანქანათმშენებელი ქარხნის პროფკავშირული ორგანიზაციები.

ამ პერიოდში შემჩნეული იქნა სხვა ხარვეზებიც, რომლებიც ხელს უშლიდნენ ღონისძიებების მაღალ დონეზე ჩატარებას. ქუთაისის „განთიადის“ საქალაქო საბჭო განიცდის ველოსიპედების ნაკლებობას, რის გამო გუნდს გაუჭირდება წარმატებით გამოვიდეს ფინალურ შეხვედრებში.

ყოველივე ზემოთ აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ბევრგან დაგვიანებით დაიწყეს შეჯიბრებისათვის მზადება, დროულად ვერ ჩააბეს ახალგაზრდები სექციებში, არ იზრუნეს კარგი სპორტული ბაზის შექმნის, ინვენტარის მომარაგებისა და ბაზების კეთილმოწყობისათვის.

საქართველოს პროფსაბჭომ, აჭარისა და აფხაზეთის საბჭოებმა, პროფკავშირთა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რათა რესპუბლიკური სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ ნაკრები გუნდები დაკომპლექტებულ იქნას მხოლოდ პირველთანრიგოსანი სპორტსმენებით, რაც საშუალებას მოგვცემს წარმატებით გამოვიდეთ პროფკავშირთა VI საკავშირო სპარტაკიადაზე.

## სპორტი ქალაქებსა და რაიონებში

### ლანჩხუთი

ჩატარდა შეჯიბრება ფრენბურთში „კოლმეურნის“ რაისაბჭოს პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა 8 საკოლმეურნეო გუნდი. შეხვედრები დაუმარცხებლად ჩაატარეს სოფელ მამათის სპორტსმენებმა და მოიპოვეს პირველი ადგილი.

* * *

წარმატებით მიმდინარეობს დოსააფის რაიონული სპარტაკიადა, რომლის პროგრამაშია მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლა, ყუმბარის ტყორცნა და წინაღობათა გადალახვა. სპარტაკიადაში მონაწილეობას იღებს დოსააფის 47 ორგანიზაცია.

ი. ეგრალიძე

### ჭიათურა

„განთიადის“ ფრენბურთელთა საქალაქო პირველობის პირველ ტურში გათამაშება მიმდინარეობდა ორ ჯგუფად. ფინალურ შეხვედრაში მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს გუნდმა ანგარიშით 2:1 ძლია მაღაროთა სამმართველოს გუნდს და მოიპოვა პირველი ადგილი.

* * *

ერთ თვეს მიმდინარეობდა მოსწავლეთა საგაზაფხულო პირველობის პირველი ტური. პროგრამაში იყო კალათბურთი, ფრენბურთი, მძლეოსნობა და მაგიდის ჩოგბურთი. ფრენბურთში გამარჯვებული გამოვიდნენ III საშუალო სკოლის ქალ-ვაჟთა გუნდები. კალათბურთში პირველები იყვნენ: ვაჟებს შორის — I საშუალო სკოლა, გოგონებს შორის — რუსული საშუალო სკოლა.

მაგიდის ჩოგბურთსა და მძლეოსნობაში გაიმარჯვეს III საშუალო სკოლის გუნდებმა.

შ. კალატოზი

### ყვარელი

ამ დღეებში ჩატარდა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „კოლმეურნეს“ რაიონული პირველობა მძლეოსნობაში.

გუნდური პირველი ადგილი წილად ხვდათ ჰიკაანელ კოლმეურნე სპორტსმენებს.

გ. მურასპიშვილი

ბე-2 გგ. № 84 (1254)

# რა ვნახე მსოფლიო  პირველობაზე

✦

**ბ. პაიჭაძე**

სპორტის დამსახურებული ოსტატი

✦

გვიან საღამოს სასტუმრო „მალმეს" ვრცელ დარბაზებში მოეწყო სხვადასხვა სახელმწიფოთა დელეგატების ბანკეტები. საერთო დროსტარებასა და მხიარულებაში შემოგვესწრნენ ჩვენი ნაცნობები — ბრაზილიელი ფეხბურთელები. კარგა ხანს ვისხედით ერთად, ქაღალდზე ვხაზავდით და ვიხსენებდით განვლილი მატჩის პერიპეტიებს. რომელიღაც ჩვენგანმა პელეს გაახსენა მის მიერ გატანილი მესამე ბურთი და გაოცება გამოხატა მისი უმაღლესი ოსტატობის მიმართ.

პელემ მორიდებულად გაიღიმა და გაგვაგებინა, რომ მას სხვა საშუალება არა ჰქონდა ბურთის უფრო უბრალოდ გასატანად.

დავიშალეთ ნაშუაღამევს, მაგრამ არც ერთი ბრაზილიელი ფეხბურთელი არ დამთვრალა, თუმცა საამისო მათ საბაბიცა ჰქონდათ, დროცა და უფლებაც.

თითქმის ყოველი მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ფეხბურთის სპეციალისტები გამოთქვამდნენ სულ საწინააღმდეგო შეხედულებებს გამარჯვებულთა შესახებ. მაგალითად, 1954 წლის პირველობის შემდეგ, როცა გერმანელებმა ფინალში დაამარცხეს უნგრეთის განთქმული გუნდი, პრესაში დიდი ხნის განმავლობაში არ შემწყდარა ხმაური იმის შესახებ, რომ ნამდვილ ჩემპიონს სინამდვილეში მხოლოდ მეორე ადგილი შეხვდა, რომ გერმანელებს ხაოცრად წყალობდა ბედი და ა. შ.

ამჯერად ორი აზრი არ ყოფილა: ჩემპიონობა ჩემპიონს ხვდა წილად.

საინტერესოა, რას წარმოადგენს ბრაზილიის გუნდი საერთოდ და მისი წევრები ცალცალკე.

ბრაზილიის ნაკრები შედგენილია 8 სხვადასხვა კლუბის მოთამაშეთაგან. ერთის შეხედვით, ძნელია ასეთი ჭრელი შემადგენლობის შეთამაშება ერთ კოლექტივად, მაგრამ ფეხბურთელთა უმაღლესი ტექნიკა და თამაშის კულტურა საშუალებას იძლევა ნაკრები შედგეს უმტკივნეულოდ, ზედმეტ გართულებათა გარეშე. ბრაზილიის გუნდში არიან ე. წ. ასაკგადაცილებული ვეტერანები და ჯერ სულ ახალგაზრდა ფეხბურთელები, მაგრამ ეს კოლექტივი ხანდაზმულობისა და სიახალგაზრდავის მეტად მარჯვე შეხამებას წარმოადგენს. გუნდში ყველა ფუნქცია ზედმიწევნით მიზანშეწონილადაა განაწილებული და თავისი საქმე ყველამ ხუთი თითივით იცის — ვეტერანმაც და ახალგაზრდამაც.

დიდი ხნის განმავლობაში მიჩნეული იყო, რომ სისტემა 1+4+2+4 დაცვითია. მაგრამ ბრაზილიის გუნდის მაგალითზე მე ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ ეს სულაც არაა დაცვითი სისტემა. პირიქით, ესაა მეტად მოქნილი და მოძრავი სისტემა, სადაც გუნდი სრული ძალებით მოქმედებს როგორც დაცვაში; ისე თავდასხმაში. იყო შემთხვევები, როცა ბრაზილიელები დაცვაში 5-6 მოთამაშის შემადგენლობით იბრძოდნენ და სულ რამდენიმე სვლის შემდეგ ამდენივე მოთამაშე იმყოფებოდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე.

ბრაზილიელები დაცვიდან შეტევაში გადადიან მშვიდად, ყოველგვარი ჩოჩქოლისა და ზედმეტი აჩქარების გარეშე. ბურთის გადაცემათა რაოდენობა ერთი კარიდან მეორემდე ზოგჯერ 10-12-ს აღწევს. იშვიათად, რომ ბურთი გადაეცეს საეგებიოდ — მისამართი ყოველთვის ღია მოთამაშეა.

თამაშის უმაღლესი ტექნიკა ამ გუნდში შერწყმულია კოლექტიურობასთან. ბრაზილიელები ცდილობენ ითამაშონ მარტივად და უბრალოდ, მაგრამ თუ საჭირო იქნა, მათ ისეთი ფოკუსების გაკეთება შეუძლიათ, რომ თავი ცირკში გეგონებათ. თუ ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ქუსლით ითამაშა, ან ხელებზე თავდაყირა დამდგარმა გადაიტანა ბურთი, ე. ი. მას სხვა გზა არა ჰქონდა საამისოდ.

ყველაფერი ეს ბრაზილიელ ფეხბურთელებს შეთვისებული აქვთ ბავშვთა იმ „ველურ" გუნდებში, რომელთა რაოდენობა ამ ქვეყნის ქუჩებში, მინდვრებსა და პლაჟებზე ათეულ ათასებს აღწევს. აქედან იწყება მათი გზა მსოფლიო ჩემპიონობამდე. ამიტომაა, რომ ბრაზილიის ნაკრებში თითქმის არ არსებობს ცნება — ძირითადი და სათადარიგო მოთამაშე. აქ ყველა თანაბარი ძალისაა, მაგალითად, მაცოლა, და სორდი, პელე № 2 და სხვანი ზევრის აზრით უფრო ძლიერადაც თამაშობენ, ვიდრე ფინალური მატჩის მონაწილენი.

მაინც, შეიძლება დაისვას ასეთი კითხვა: ვინაა ყველაზე შესანიშნავი ფეხბურთელი ბრაზილიის გუნდში. ვის ეკუთვნის მასში წამყვანისა და ორგანიზატორის როლი?

ამ კითხვაზე მე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გავცემ პასუხს — ესაა დიდი. 37 წლის ფეხბურთელი თავისი გუნდის სული და გულია, მთავარი დირიჟორი. ბრაზილიაში ამ ფეხბურთელს კოლოსალური ავტორიტეტი აქვს და მას ყველაზე მეტ ფულს უხდიან, თუმცა მთელი სეზონის განმავლობაში 8–10 მატჩში მონაწილეობს, მხოლოდ მაშინ, როცა კლუბს აუცილებელი მოსაგები მატჩი აქვს.

დიდი თამაშობს უკიდურესად ეკონომიურად, გააზრებულად, ჭკვიანურად. იგი იშვიათად ურტყამს კარში და ამჯობინებს სხვამ გაიტანოს გოლი, ოღონდ კი გაიტანოს. საამისოდ დიდი ისეთ კომბინაციებს ხლართავს მინდორზე, რომ მოწინააღმდეგე დაბნეული დარბის ერთი მოთამაშიდან მეორისაკენ. მაგრამ თუ საჭიროა დიდიმ ისეთი გოლების გატანაც იცის 20–30 მეტრის მანძილიდან, როგორიც მან გაიტანა ნახევარფინალში საფრანგეთთან.

დიდი სწრაფად არ დარბის. იგი ნელა მოძრაობს, როგორღაც ახერხებს თავისუფლად დარჩენას, ბურთს ამუშავებს რბილად, წყნარად, მისგან უხეშობა წარმოუდგენელია — დიდი უაღრესად თავაზიანია მინდორზე.

დაცვითი ოპერაციების წარმოებისას დიდი ჩამოდის საჯარიმო მოედანთან, აქ ღებულობს ბურთს და აკადემიური სიმშვიდით იწყებს მის გათამაშებას.

დიდის განსაკუთრებით უყვარს ბურთის გადაცემა მარჯვენა ფრთაზე, გარინჩასაკენ, ეს უკანასნელი კი ნამდვილი ფენომენია. თუ გარინჩამ ბურთი მიიღო, ვერც ერთი მცველი ვეღარ წაართმევს მას უკან.

გარინჩა არასოდეს არ მირბის ცარიელი ადგილისაკენ. იგი ჯიქურ, წარმოუდგენელი სითამამით (სხვა სიტყვა რომ არ ვიხმარო) მიდის პირდაპირ მცველისაკენ, თითქოს უნდა შეეჩეხოს მას, მერე თვალის დახამხამებაში უკეთებს რომელიმე ფინტს, რომელიც მას მრავლადა აქვს არსენალში, და ელვასავით გადის კართან. მისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ერთი მცველი იქნება მის წინ, ორი, თუ სამი. ბრაზილიელთა მარჯვენა გარემარბის დაჭერა შეუძლებელია. შეიძლება ითქვას, რომ ესაა ერთადერთი ფეხბურთელი ბრაზილიის გუნდში, რომელიც ინდივიდუალურად თამაშობს, მაგრამ მას აქვს ამისი უფლება. გარინჩას ცალი ფეხი მეორეზე ოდნავ მოკლე ჰქონია და როცა იგი უბურთოდ დგას, მაშინაც ისეთი შეხედულება აქვს, თითქოს ახლაც ფინტს აკეთებსო.

როცა გარინჩა ბურთიანად მირბის, მცველი უკან იხევს, ხოლო ნახევარმცველი პარტნიორის მისაშველებლად მორბის. გარინჩა თავის „ულუფა" 2 კაცს, როგორც წესი, ატყუებს და აწოდებს ცენტრში თავისუფლად დარჩენილ ვავას ან პელეს. თუ ვავამ არ შეაგდო ბურთი, მას შეაგდებს პელე, თუ პელემ არ შეაგდო — შეაგდებს ვავა. ეს კანონია. თუ მცველებმა შეძლეს ბურთის მოგერიება, ბრაზილიელები მას აწვდიან დიდის და მთელი ეს ამბავი ისევე თავიდან იწყება.

დიდისა და გარინჩას ყოველ მოძრაობას თვალს არ აცილებს ცენტრალური თავდამსხმელი ვავა. იშვიათად, რომ ფეხბურთელს ჰქონდეს ისეთი ორიენტაცია და მინდორზე შექმნილ ვითარებაში გარკვევის უნარი, როგორც ვავას აქვს. მას უბურთოდ, მხოლოდ ადგილის შერჩევაში შეუძლია მოწინააღმდეგის მოტყუება. ვავა განუწყვეტლივ მოძრაობს, ბევრს მუშაობს, ზედმიწევნით, დეტალურად აქვს შესწავლილი თავისი მეგობრების თამაშის ნიუანსები. ვავა შესანიშნავად თამაშობს თავით და შეუცდომლად ურტყამს კარში.

მარცხენა შუამარბი პელე სულ 17 წლის ჭაბუკია. იგი „ფლამენგომ" იპოვა სადღაც პროვინციაში და სულ მალე მიიღო ბრწყინვალე ფორვარდი. პელემ არ იცის რაა შეცდომა. იგი გასაკვირი ალღოთი გრძნობს არა მარტო თავისი პარტნიორების, არამედ მოწინააღმდეგეთა ჩანაფიქრსაც. შუა თამაშში პელე უცებ მოწყდება ადგილს და არც უყურებს ბურთს, ისე მირბის „სადღაც". გავა წამი და ამ „სადღაცაში" ეშვება ბურთი, რომელსაც ეს ზანგი სურვილისამებრ იმორჩილებს თავით, ფეხით, მკერდით, ბარძაყით და... ასე წარმოიდგინეთ ზურგითაც კი. პელეს აბსოლუტურად არა აქვს შიშის გრძნობა და ყველაზე უხეშ მცველთანაც კი პირისპირ თამაშობს, გარდა ამისა, მას უყვარს ყველაზე მწვავე და რისკიან გაგრძელებათა ამორჩევა. არ შეიძლება, რომ პელეს დააგვიანდეს შეტევაში, ან დააყოვნოს გოლის გატანა.

ზაგალო, მარცხენა გარემარბი, არ გამოირჩევა რაიმე თავისებური თვისებებით, მაგრამ მას თამამად შეგვიძლიათ მიაწეროთ ყველა ზემოჩამოთვლილ მოთამაშეთა თვისებები და მიიღებთ უმაღლესი კლასის მარცხენა გარემარბს, რომელსაც ბრაზილიელები ვერაფრით ვერ ელევიან.

გუნდში შედარებით სუსტია მეკარე ჟილმარი, მაგრამ დაცვას წუნი არა აქვს. აქ გამოირჩევა ბელინი — ფიზიკურად მძლავრი, გაბედული, ტაქტიკურად უნაკლო მოთამაშე. იგი ისე დაეჯახება მოწინააღმდეგეს და წააქცევს მას, რომ ჯარიმას არ მიიღებს. არ მიიღებს იმიტომ, რომ ბელინი ზუსტად იცავს ატლეტური ბრძოლის ყველა წესს. ორივე სანტოსი, ორლანდო, ზიტო, და სორდი თამაშობენ უკიდურესი ყურადღებით, ურთიერთდაზღვევით, სწრაფად. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მოწინააღმდეგეს არ მიეცეს კარში დარტყმის საშუალება.

ბრაზილიის გუნდის მცველები ერიდებიან კარიდან ბურთის ძლიერად მოგერიებას. ისინი ან მეკარეს აწვდიან ბურთს, ან რბილად გადასცემენ წინ ან გვერდზე მდგარ მოთამაშეს, რათა იგი საბოლოოდ დიდისთან მოხვდეს. როცა ბურთი დიდისთანაა, გუნდი მაშინვე წყნარდება — იწყება შეტევა. ყოველი გატანილი ბურთის შემდეგ ბრაზილიელები გახარებული ეხვევიან გოლის ავტორს და კოცნიან მას.

მეორე ფინალისტმა — შვეციის გუნდმა, ჩემზე ნაკლები შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა ემიგრირებულ ფეხბურთელთა დაბრუნების შემდეგ შვედები გაცილებით გაძლიერდნენ და დიდი მონდომებითა და ენერგიით თამაშობდნენ. ბეგმარკი, ჰამრინი, ლიედჰოლმი, სიმონსონი, გუსტავსონი, გრენი მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამოცდილი მებრძოლები არიან, რომლებიც კარგად იცნობენ ყოველ მოწინააღმდეგეს და იციან მათი სუსტი მხარეების გამოყენება. გარდა ამისა, შვედები თავიანთ ქვეყანაში თამაშობდნენ და მაყურებელთა დიდი ენთუზიაზმი დიდ ფაქტორს წარმოადგენდა მათს წარმატებაში.

მე ძლიერ მომეწონა საფრანგეთის გუნდი. განსაკუთრებით თავდასხმა. ფეხბურთის ნამდვილი პროფესორია რაიმონ კოპა, რომელიც უდიდესი ხელოვნებით წარმართავს თავისი გუნდის შეტევითს ოპერაციებს. შესანიშნავია ფრანგების მთავარი „ბომბარდირი" ჟიუსტ ფონტენი. იგი დაუღალავად მუშაობს მინდორზე, სულს უწუხებს მოწინააღმდეგეს და თუ მცველებს წამით მაინც დარჩათ ღია ადგილი კარისაკენ — ფონტენი მათ ამას არ აპატიებს. მას საშინელი ძალის დარტყმა აქვს.



ფონტენი

⊙

აი ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა მსოფლიო პირველობის პრიზიორებზე. რაც შეეხება ჩვენს გუნდს, ეს უკვე ცალკე თემაა. მე მისი თამაში შვეციაში არ მინახავს. ამდენად, ჩემთვის ძნელია მისი მატჩების ანალიზირება. მაგრამ ერთი ცხადია, ყველაზე ძნელ ქვეჯგუფში ზედიზედ ჩატარებულმა თამაშებმა თითქმის ერთიდაიგივე შემადგენლობით გუნდი დაღალა და დაუქვეითა ბრძოლისუნარიანობა. მაგრამ ისეთ ტურნირში, როგორც მსოფლიო პირველობაა, არ შეიძლება 11-13 კაცის შემადგენლობით თამაში. გუნდს უნდა ჰყავდეს სრულფასოვანი რეზერვი და ისიც დიდი რაოდენობით, როგორც ეს მაგალითად, ბრაზილიას ჰყავდა. უამისოდ შეუძლებელია წარმატებაზე ფიქრიც კი.

მსოფლიოს VI ჩემპიონატი, უდავოდ წარმოადგენდა თანამედროვე ფეხბურთის მიღწევათა თვალსაჩინო დემონსტრაციას. ეს იყო დიდი და სასარგებლო სკოლა, რომლის დადებითი და ნაკლოვანი მხარეების შესწავლა საჭიროა სერიოზულად, პასუხისმგებლობის სრული გრძნობით.

დასასრული, იხ. № 81, 82, 83.



გარინჩა



დიდი

შარჟები ამოღებულია პოლონური გაზეთებიდან.

## ორგზის გამარჯვებულთა შეხვედრა

ვორონეჟი. (ტელეგრამით ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება საკავშირო გათამაშება ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლათა გუნდებს შორის.

გათამაშების მეორე დღეს დიდ ინტერესს იწვევდა მატჩი ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის პრიზზე ორგზის გამარჯვებულებს — მოსკოვისა და თბილისის გუნდებს შორის. მოსკოველებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:0. ამავე ქვეჯგუფში ალმა-ატის ფეხბურთელებმა მოუგეს მინსკის გუნდს — 2:0.

მესამე ტურში თბილისელებმა დიდი ანგარიშით — 6:1 დაამარცხეს ალმა-ატის გუნდი, ხოლო მოსკოველებმა განიცადეს წაგება კიშინიოვთან შეხვედრაში — 1:2.

მეორე ქვეჯგუფში ლენინგრადმა მოუგო სტალინაბადს — 3:1, ხოლო ტაშკენტმა წააგო „შრომითი რეზერვებთან" ანგარიშით 1:7.





◆

ჩატარდა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში მეორე და მესამე ჯგუფებში. მოგვყავს შეხვედრათა ტექნიკური ანგარიშები.

### მეორე ჯგუფი

I ზონა. „სპარტაკი" (საჩხერე)-„განთიადი" (წყალტუბო) — 1:2, ლენინის სახელობის შახტი (ტყიბული)-სას. სამ. ტექნ. (დიდი ჯიხაიში) — 5:3, „ცისკარი" (ბათუმი)-წულუკიძე — 3:1.

• • •

II ზონა ოჩამჩირე-„კოლმეურნე" (გალი)—4:2, „განთიადი" (ბათუმი)-„ბახმარო" (ჩოხატაური) — 2:2.

• • •

III ზონა. „ჩანჩქერი" (ბორჯომი)-ორთქლ. ვაგონ. შემკ. ქარხანა (თბილისი) — 0:1, „დურუჯი" (ყვარელი)-„ლოკომოტივი" (ხაშური) — 2:1, „კოლმეურნე" (გურჯაანი)-„კოლმეურნე" (ბოლნისი) — 2:2.

• • •

IV ზონა. „წინანდალი" (თელავი)-„თრიალეთი" (წალკა) — 4:1.

• • •

### მესამე ჯგუფი

I ზონა. „ჩანჩქერი" (ლაგოდეხი)-სიღნაღი — 1:1, „კოლმეურნე" (გარდაბანი)-კასპი — 0:0. ქარელი-„შირაქი" (წითელწყარო) — 0:15, „არაგვი" (მცხეთა)-„კოლმეურნე" (ქინტაური) — 2:0.

• • •

II ზონა. მტს–ი (ადიგენი)-„კოლმეურნე" (დმანისი) — 7:0.

• • •

III ზონა. „თაიგული" (ლანჩხუთი)-ჩაქვის საბჭოთა მეურნეობა — 4:1, „ცისკარი" (აბაშა)-შემოქმედი — 3:2, სას. სამ. ტექნიკუმი (ზუგდიდი)-ლაითური — 0:1.

• • •

IV ზონა. „სპარტაკი" (ვანი)-„სპარტაკი" (მახარაძე) — 5:1, „შრომა" (დიდი ჯიხაიში)-„მამისონი" (ონი) — 3:0, „გაზაფხული" (ზესტაფონი)-„კოლმეურნე" (ზუგდიდი) — 2:0, „აბჰესი" (გეგეჭკორი)-„ხვანჭკარა" (ამბროლაური) — 0:2, „ციცქა" (თერჯოლა)-„მშენებელი" (ჭიათურა) — 2:2, „ხვამლი" (ცაგერი)-„განთიადი" (ლაჯანურჰესი) — 1:1, სტალინის სახ. შახტი (ტყიბული)-„კოლმეურნე" (მაიაკოვსკი) — 2:0.


ლელო

80-8 გვ. № 84 (1254)




ოხაჩქუეს კირქვიანი მასივი მიმდინარე საზაფხულო სეზონის სპელეოლოგიური კვლევის ძირითადი ობიექტია — აქ იმუშავებენ ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტისა და საქართველოს ალპური კლუბის სპეციალური ექსპედიციები.

ივლისის დასაწყისში ოხაჩქუეს მასივზე კვლევას აწარმოებდა ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის ფიზიკურ-გეოგრაფიული ექსპედიცია. აქ, ზღვის დონიდან 2.050 მეტრის სიმაღლეზე აღმოჩენილ ბუნებრივ შახტში თოკით ჩაეშვნენ ექსპედიციის მონაწილენი. 15 მ სიღრმეში ნახულ იქნა ცხენის ჩონჩხი, როგორც ჩანს, ცხენი აქ დიდი ხნის წინათ ჩავარდნილა. ექსპედიციის წევრმა ბ. გერგედავამ რკინის კეტით გახვრიტა შახტის ფსკერი და მიაგნო მის გაგრძელებას. აღმოჩნდა, რომ შახტი უერთდება სტალაქტიტოვან დარბაზს, რომელიც ზედაპირიდან 25 მეტრის სიღრმეში მდებარეობს. ჩვეულებრივი ფორმის სპეტაკ სტალაქტიტებთან ერთად აქ ბევრია წვრილი სტალაქტიტებიც, რომლებიც ჭერიდან იატაკამდეა ჩამოქიმული. მღვიმეში არსებულ პატარა ტბას და ნაკადულს გადაკრული აქვს თეთრი კალციტის ქერქი, რომელიც იმტვრევა ხელის ან ფეხის დაჭერით.

აღნიშნული მღვიმე გადადის კარსტულ გვირაბში, რომელიც მიემართება სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდინარე ილორის სათავეებისაკენ და დაკავშირებული უნდა იყოს ოხაჩქუეს მასივში არსებულ ბუნებრივ სიღრუვეთა ვრცელ სისტემასთან. რამდენადაც ილორის სათავეები ზღვის დონიდან 750 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სპელეოლოგიური ჩაღწევის შესაძლო სიღრმე აქ 1.350 მეტრამდე მიაღწევს. ამრიგად, დასტურდება წინასწარი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ოხაჩქუეს თხემი წარმოადგენს ერთ-ერთ საინტერესო ობიექტს კავკასიის კარსტულ უფსკრულებში სარეკორდო სიღრმითი იერიშებისათვის.

ლ. მარუაშვილი,
გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი.

## საკავშირო პირველობა კალათბურთში

### უკანასკნელი მატჩები

**თბილისი, ქალთა გუნდებს შორის**

თბილისის ტურის უკანასკნელ ორ მატჩში, როგორც იტყვიან, თბილისელი კალათბურთელები „ფორმაში შევიდნენ". რიგის „დაუგავასთან" შეხვედრა ერთხანს თანაბარი უპირატესობით წარიმართა — მაგრამ მატჩის ბოლოს სტუდენტი კალათბურთელები წინ გავიდნენ და დაამარცხეს ლატვიელთა ძლიერი გუნდი ანგარიშით 47:40.

იოლი გამარჯვება მოიპოვა თბილისის „ბურევესტნიკმა" თავის როსტოველ თანაკლუბელებთან. რომლებმაც თბილისელებს წინააღმდეგობა მხოლოდ თამაშის პირველ წუთებში გაუწიეს. შემდეგ კი თბილისელი კალათბურთელები რაც სურდათ იმას აკეთებდნენ. კარგი თამაშით კვლავ თავი ისახელა ლ. ქვლივიძემ, რომლის იერიშების ნეიტრალიზებას ვერ ახერხებდნენ მოწინააღმდეგე გუნდის წევრები. ძლიერად ითამაშა აგრეთვე ც. ჯაჭვლიძემ, რომელიც თითქმის ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა მოწინააღმდეგის ფართან ბურთისათვის ბრძოლაში. საერთოდ გუნდი მთელი ანსამბლით უტევდა მეტოქის ფარის მისადგომებს, მაქსიმალურად იყენებდა ყველა შესაძლებლობას, სწორედ ამიტომ როსტოველებმა შეხვედრა დიდი ანგარიშით 41:75 წააგეს. ამრიგად, თბილისელმა კალათბურთელებმა აიღეს რევანში პირველ წრეში დამარცხებისათვის.

უკანასკნელი დღის შეხვედრებიდან აღსანიშნავია მოსკოვის „ტრუდისა" და ლენინგრადის სკვოს მატჩი. ერთხანს წინ იყო მოსკოვის გუნდი—6:4, 10:9, მაგრამ როცა ლენინგრადელებმა მოედანზე მაღალი ტანის ორეხოვა გამოიყვანეს, მის წინააღმდეგ „ტრუდმა" ვერაფერი გააწყო. ა. ორეხოვა ძლიერი იყო არა მარტო დაცვაში, არამედ ზუსტი ტყორცნით მეთოდურად ზრდიდა ანგარიშს თავისი გუნდის სასარგებლოდ. საქმეს ვერ უშველა მოსკოველ იაროშევსკაიასა და არციშევსკაიას შორი მანძილიდან ტყორცნებმა. ძნელი გამარჯვება წილად ხვდათ ლენინგრადელებს — 41:39.

კიდევ ერთი დამარცხება განიცადა რიგის „დაუგავამ". ამჯერად მოსკოვის „სერპ ი მოლოტთან". თუ კი მატჩის პირველ ნახევარში ლატვიელები ერთგვარ წინააღმდეგობას უწევდნენ მოსკოველებს, შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. „დაუგავამ" თამაშის მეორე ნახევრის პირველ წუთებიდანვე დათმო პოზიციები და წააგო შეხვედრა ანგარიშით 55:70.

ზ. ჯანდიერი.

### ზუსტმა ტყორცნამ გადაწყვიტა მატჩის ბედი

**მოსკოვი, ვაჟთა გუნდებს შორის**

12 ივლისი უიღბლო დღე გამოდგა თბილისის გუნდებისათვის. „დინამომ" რიგის „სპარტაკთან" განიცადა მოულოდნელი დამარცხება ანგარიშით 62:70. თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა შეჯიბრების აუტსაიდერს —, მოსკოვის „სპარტაკს", გამარჯვების შემთხვევაში თბილისელები ინარჩუნებდნენ „ა" კლასში თამაშის უფლებას. მაგრამ სტუდენტმა კალათბურთელებმა ეს პრინციპული მატჩი სუსტად ჩაატარეს და წააგეს ანგარიშით 64:68. ამ დღეს ტალინის „კალევმა" დაამარცხა ალმა-ატის „ბურევესტნიკი" — 65:50, კაუნასის „ჟალგირისმა" — სვერდლოვსკის „ტრუდი" — 62:55, რიგის სკვომ—ლენინგრადის „ბურევესტნიკი" — 82:80, ცსკ მო—მ — მოსკოვის „დინამო" — 82:80.

მორიგი კალენდარული მატჩი თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდს ჰქონდა ალმა-ატის თანაკლუბელებთან. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა შეხვედრა კვლავ თავიანთ შესაძლებლობებზე დაბლა ჩაატარეს და განიცადეს მორიგი დამარცხება ანგარიშით — 69:76. გათამაშების ცხრილში ერთი ქულა ჩაიწერა სვერდლოვსკის „ტრუდმა", რომელმაც მოუგო შეხვედრა ტალინის „კალევს" — 81:75, ლენინგრადის „ბურევესტნიკმა" მინიმალური განსხვავებით შეძლო რიგის „სპარტაკის" დამარცხება — 61:60. მოსკოვის „დინამომ" მოუგო მოსკოვის „სპარტაკს" — 103:76, ხოლო რიგის ოფიცერთა სახლის გუნდმა — კაუნასის „ჟალგირისს" — 83:68.

ამ დღის ცენტრალური მატჩი იყო თბილისის „დინამოსა" და ცსკ მო-ს კალათბურთელთა შეხვედრა. გუნდები მოედანზე თავიანთი ძირითადი შემადგენლობით გამოვიდნენ. თამაშის პირველი ნახევარი ერთი ქულის განსხვავებით მოიგეს მოსკოველებმა — 31:30.

შესვენების შემდეგ კარგა ხნის განმავლობაში 6-8 ქულით წინ იყო ცსკ მო. თამაშის უკანასკნელ წუთებზე დინამოელები გააქტიურდნენ და რამდენიმე ზუსტი ტყორცნა განახორციელეს მოწინააღმდეგის კალათში, როცა თამაშის დასრულებამდე წამები აკლდა და ანგარიში იყო 67:66 არმიელთა სასარგებლოდ, რ. გოგელიამ ორი საჯარიმო ტყორცნის უფლება მოიპოვა. პირველმა ტყორცნამ ანგარიში გაათანაბრა — 67:67. ახლა ყველაფერი დამოკიდებული იყო მეორე საჯარიმოზე. რ. გოგელიამ იგიც ზუსტად გამოიყენა და თავის გუნდს მოუტანა გამარჯვება — 68:67.

ნ. გუგუშვილი,
ვ. ჟორჟოლაძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტები.

**გათამაშების ცხრილი**

| | თ. | მ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სკვო რიგა | 21 | 18 | 3 | 18 |
| ცსკმო | 21 | 17 | 4 | 17 |
| „დინამო" მოსკოვი | 21 | 14 | 7 | 14 |
| „ბურევესტნიკი" ლენინგრ. | 21 | 12 | 9 | 12 |
| „დინამო" თბილისი | 21 | 11 | 10 | 11 |
| „ბურ". ალმა-ატა | 21 | 10 | 11 | 10 |
| „სპარტაკი" რიგა | 21 | 9 | 12 | 9 |
| „ჟალგირისი" კაუნასი | 21 | 9 | 12 | 9 |
| „კალევი" ტალინი | 21 | 8 | 13 | 8 |
| „ტრუდი" სვერდლოვსკი | 21 | 7 | 14 | 7 |
| „ბურ". თბილისი | 21 | 6 | 15 | 6 |
| „სპარტაკი" მოსკოვი | 21 | 5 | 16 | 5 |

### წერილების კვალდაკვალ

გასული წლის აგვისტოში გორში ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრება კალათბურთში მეორე ჯგუფის გუნდებისათვის, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის ნაკრები გუნდები. შეჯიბრებაში პირველი ადგილი ქალთა შორის მოიპოვა ხაშურის სპორტული სკოლის ნაკრებმა, რომლისთვისაც ჯილდოდ უნდა გადაეცათ თასი. მაგრამ გამარჯვებულებს თასი არ მიუღიათ. იგი ინახება ბათუმის ფიზკულტურის კომიტეტში.

როგორც სპორტთამაშობათა სახელმწიფო მწვრთნელი გვატყობინებს, წერილში აღნიშნული ფაქტი დადასტურდა. ამჟამად მიღებულია ზომები ხაშურის ქალთა გუნდისათვის აღნიშნული ჯილდოს გადასაცემად.

• • •

წულუკიძის № 9 სასწავლებელი 200-ზე მეტ ახალგაზრდას აერთიანებს, რომლებიც დაინტერესებული არიან სპორტით, მაგრამ არა აქვთ სპორტული ინვენტარი, ბურთები და სხვ. — გვწერენ ჩვენი გაზეთის მკითხველები.

როგორც საქართველოს ალკკ წულუკიძის რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა. რაიკომის ბიურომ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დასახა სათანადო ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად.

### გუნდური პირველი ადგილისათვის

ვილნიუსში გრძელდება საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა ჭადრაკში. საქართველოს გუნდმა, რომელმაც წარუმატებლად დაიწყო შეჯიბრება, მეხუთე ტურში ლატვიელ მოჭადრაკეების წინააღმდეგ ენერგიულად ითამაშა. მწვავე ბრძოლა დამთავრდა ყაიმით — 5:5. აღსანიშნავია შიშოვის გამარჯვება ლატვიის ჩემპიონ ზილბერთან.

მეექვსე ტურში საქართველოს წარგზავნილები შეხვდნენ ლიტვის გუნდს. ამ მატჩში თავი ისახელეს ტოგონიძემ, გაფრინდაშვილმა, ლომაიამ და ჯანოევმა. შეხვედრა მოიგეს საქართველოს მოჭადრაკეებმა — 6:4.

### საჭადრაკო კლუბში

16 ივლისს სპორტის ოსტატი საჭადრაკო კომპოზიციაში, პროფესორი ა. ო. გერბსტმანი (ალმა-ატა) წაიკითხავს ლექციას:

„საბჭოთა საჭადრაკო ეტიუდი და საეტიუდო ხელოვნება საქართველოში".

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

### ფეხბურთი

**გათამაშების ცხრილი**

მდგომარეობა 15 ივლისისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 9 | 5 | 4 | 0 | 23:10 | 14 |
| „ზენიტი" | 11 | 5 | 4 | 2 | 21:13 | 14 |
| ცსკ მო | 10 | 5 | 3 | 2 | 19:10 | 13 |
| „შახტიორი" | 12 | 5 | 3 | 4 | 12:14 | 13 |
| „ტორპედო" | 8 | 3 | 5 | 0 | 21:11 | 11 |
| „ლოკომოტივი" | 9 | 3 | 4 | 2 | 14:11 | 10 |
| „დინამო" კ. | 10 | 2 | 6 | 2 | 16:13 | 10 |
| „დინამო" თბ. | 10 | 4 | 2 | 4 | 16:25 | 10 |
| „დინამო" მ. | 10 | 3 | 2 | 5 | 13:13 | 8 |
| „კრ. სოვეტოვი" | 11 | 1 | 6 | 4 | 7:14 | 8 |
| „მოლდოვა" | 12 | 1 | 5 | 6 | 13:27 | 7 |
| „ადმირალტეეცი" | 12 | 3 | 0 | 9 | 17:31 | 6 |

• • •

კიშინიოვი. 12 ივლისი. აქ შედგა მეორე წრის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „მოლდოვა" (კიშინიოვი) და „ადმირალტეეცი" (ლენინგრადი). მატჩი მოიგო „მოლდოვამ" — 1:0.

• • •

მოსკოვი. გუშინ აქ შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. ითამაშეს ადგილობრივმა „დინამომ" და ლენინგრადის „ზენიტმა". თამაში მოიგეს ლენინგრადელებმა — 4:1.

### „ბ" კლასში

კადიევკა. (ტელეგრაფით). აქ შედგა მეორე წრის მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივი „შახტიორი" შეხვდა ქუთაისის „ლოკომოტივს".

თამაში დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 3:0.

• • •

### სსრ კავშირის თასზე

გუშინ თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე გაიმართა შეხვედრა სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ „ბურევესტნიკი" (თბილისი) — „ყუბანი" (კრასნოდარი).

მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 2:1.

რედაქტორი ი. უგულავა.




✦

შეჯიბრებაში მონაწილეობენ: ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, სპორტის ოსტატი რ. ბრენერი, ევროპის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ვ. ჩუმიჩევა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, სპორტის ოსტატები — გ. გალკინი, გ. უდალოვი, რ. გოროხოვსკაია, ნ. კრუტოვა.

მათ გარდა პირველობისათვის ბრძოლაში ჩაებმებიან ჩვენი ქვეყნის უძლიერესი წყალში მხტომელები: III საერთაშორისო მეგობრულ თამაშებში გამარჯვებული, სპორტის ოსტატი მ. ჩაჩბა, სპორტის ოსტატები: ი. კაზაკოვი, ვ. ჩერნიშევი და სხვები.

◆

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14. უე 03922